

# სტუ-ს 2013 წლის საგრანტო კონკურსის მონაწილეების საყურადღებოდ

## 1. ზოგადი დებულებანი

1. გამოყენებითი კვლევებისათვის სტუ-ს 2013 წლის სამეცნიერო გრანტების (შემდგომში – გრანტი) მიზანია, ხელი შეუწყოს გამოყენებითი და ტექნოლოგიური ხასიათის სამეცნიერო კვლევების განვითარებას ღიად გამოცხადებული საგრანტო კონკურსის (შემდგომში – კონკურსი) გზით შეარჩიოს და დააფინანსოს გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები.
2. კონკურსში შეირჩევა და დაფინანსდება კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს საერთაშორისო ან ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნადი მაღალტექნოლოგიური ინოვაციური პროდუქტის შექმნას.
3. უპირატესობა მიენიჭება და პირველ რიგში დაფინანსდება გამოყენებითი სახის სამეცნიერო პროექტებს, სადაც მკაფიოდაა დასაბუთებული მათი უახლოესი სამრეწველო რეალიზაციის პერსპექტივები.

## 2. კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სტუ-ს სასწავლო და კვლევითი სტრუქტურების წარმომადგენლებს.

1. პროექტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სტუ-ს თანამშრომელი, რომელიც წარმართავს პროექტის მიმდინარეობას. სამეცნიერო ხელმძღვანელი პასუხისმგებელია, როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ასევე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;
2. ერთსა და იმავე პირს ერთდროულად არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სტუ-ს მიერ გამოცხადებულ გამოყენებითი სამეცნიერო გრანტების 1-ზე მეტ პროექტში.
3. თუ პროექტი წარდგენილია სხვა ფონდში და იმყოფება განხილვის სტადიაში, მაშინ პროექტი სტუ-ს შიდა საგრანტო კონკურსში არ დაიშვება.

## 3. საკონკურსო პროექტების ფორმატი

1. საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს არა უმეტეს 12 თვისა.
2. პროექტში მონაწილე პერსონალის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს 900 ლარს.
3. საკონკურსო პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შედეგების საპრეზენტაციო ღონისძიებას.

## 4. პროექტის ბიუჯეტი

1. პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) პროექტში მონაწილე პერსონალის შრომის ანაზღაურება – ხელფასის ფონდი.

ბ) მივლინება – აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის და დღიური ნორმის ხარჯებს („დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების

შესაბამისად). ასევე ქვეყნის გარეთ მივლინებული პირის სავალდებულო დაზღვევისა და ვიზის გაფორმებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

გ) საქონელი და მომსახურება – აღნიშნული კატეგორია გულისხმობს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქონელი და მომსახურების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ხარჯების გაწევას. აღნიშნული მუხლი არ უნდა ითვალისწინებდეს მივლინების და ზედნადების ხარჯებს.

დ) ძირითადი აქტივები – აღნიშნული კატეგორია გულისხმობს პროექტის განხორციელებისათვის საჭირო, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანებით, „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ ძირითადი აქტივების კლასიფიკაციის მუხლით გათვალისწინებული ოპერაციების გაწევას.

2. სტუ-ს გრანტის სახსრებით დაუმჯობესებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის შეძენა.

## 5. კონკურსის ეტაპები

კონკურსის ძირითადი ეტაპებია:

1. კონკურსის გამოცხადება;
2. კონკურსში მონაწილეობის შესახებ აპლიკანტთა მიერ ხელმოწერილი განცხადების შემოტანა სტუ-ს საგრანტო კომისიაში;
3. პროექტების შეფასება დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით;
4. დამოუკიდებელ ექსპერტთა შეფასების საფუძველზე შერჩეული პროექტების საჯარო განხილვა სამეცნიერო საბჭოს წინაშე, გამარჯვებულების გამოვლენა და დამტკიცება;
5. დასაფინანსებლად შერჩეულ პროექტებში მონაწილე პერსონალთან საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.